ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N48 საცხოვრებელი სახლის N5 ბინაზე, მოქალაქე მარინა ლორთქიფანიძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ქ.ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N48 საცხოვრებელი სახლის N5 ბინაში მცხოვრები მარინა ლორთქიფანიძის განცხადება /2012 წ. 08.05 Nლ–3746/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N48 საცხოვრებელი სახლის N5 ბინა/ საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N48 საცხოვრებელი სახლის N5 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე მარინა ლორთქიფანიძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/ ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N48 საცხოვრებელი სახლის N5 ბინაზე /საერთო ფართობი 25,67 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობი 25,67 კვ.მ./, მოქალაქე მარინა ლორთქიფანიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი                                        გ.თევდორაძე